

1 დეკემბერი – შიდსთან ბრძოლის მსოფლიო დღე

შიდსთან ბრძოლის მსოფლიო დღე 1988 წლიდან ყოველი წლის 1 დეკემბერს აღინიშნება. ეს დღე ხელს უწყობს მსოფლიოს მოსახლეობის გათვითცნობიერებას აივ ინფექცია/შიდსის შესახებ და ყველას აძლევს საერთაშორისო სოლიდარობის გამოხატვის საშუალებას.

შიდსთან ბრძოლის მსოფლიო დღის აღნიშვნა საუკეთესო შესაძლებლობაა საზოგადოებრივი თუ ინდივიდუალური პარტნიორებისთვის, რომ მათში გავრცელდეს ცოდნა და ინფორმაცია პანდემიის სტატუსისა და იმ დახმარების საჭიროებისა, რომელიც აივ ინფექცია/შიდსის პროფილაქტიკას, მკურნალობას და ინფიცირებულთა მზრუნველობას შეეხება. დახმარება და გამხნეება კი სჭირდება ყველა ინფიცირებულს, როგორც მაღალი გავრცელების ქვეყნებში, ასევე მთლიანად მსოფლიოში.

ჯანმრთელობის დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის 2008 წლის მონაცემებით მსოფლიოში 33,4 მილიონი ადამიანია იმუნოდეფიციტის ვირუსით ინფიცირებული, საიდანაც დაახლოებით 2,7 მილიონი ახალი შემთხვევა (დაინფიცირდა 2008 წელს) და 2 მილიონი ადამიანი გარდაცვლილია აღნიშნულ პერიოდში.

სუბ-საჰარული აფრიკა მიეკუთვნება რეგიონს, რომელიც ყველაზე მეტად დააზარალა ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსმა. 2008 წლის მონაცემებით, მსოფლიოში ინფიცირებულთა 67%-ს აფრიკის მოსახლეობა წარმოადგენს.

რაც შეეხება საქართველოს, ეპიდემიოლოგიური სურათი მსგავსია აღმოსავლეთ ევროპის და ცენტრალური აზიის ქვეყნებისა. ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის 2009 წლის 1 დეკემბრის მონაცემებით სულ საქართველოში რეგისტრირებულია ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსის 2204 შემთხვევა, მათგან 1641 მამაკაცი და 563 ქალი. შიდსი განუვითარდა 1171 ადამიანს და 472 გარდაიცვალა. მიმდინარე წელს 353 ახალი შემთხვევა გამოვლინდა.